პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 90 (1260) ○ სამშაბათი, 29 ივლისი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.



# დიდება სახელოვან ფალავნებს



სასიხარულო ცნობა მოვიდა ბუდაპეშტიდან. აქ დამთავრებულ მსოფლიოს 1958 წლის პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა ფალავნებმა. მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, მსოფლიო თასის მფლობელმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გივი კარტოზიამ მესამეჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი საშუალო წონაში.

ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი როსტომ აბაშიძე. პირველად გამოდიოდა რა ასეთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში, მან შეძლო ამ წონაში მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავის სახელის მოხვეჭა.

დანარჩენ წონით კატეგორიებში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: უმჩატეს წონაში ბ. გურევიჩი (სსრ კავშირი), მჩატეში — ო. კარავაევი (სსრ კავშირი), ქვემსუბუქში — პოიაკი (უნგრეთი), მსუბუქში — დოგუ (თურქეთი), ქვესაშუალოში — აივაზი (თურქეთი), მძიმეში — ი. ბოგდანი (სსრ კავშირი). საბჭოთა მოჭიდავეებიდან მეორე ადგილებზე გამოვიდნენ ვ. ვასინი და გ. გამარნიკი. ვ. სტაშკევიჩს წილად ხვდა მესამე ადგილი.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც დააგროვა 44 ქულა.

• • •

სურათებზე: ზევით — გივი კარტოზია ჭიდაობის დროს. ქვევით — როსტომ აბაშიძე.

# „საუკუნის მატჩი“

## საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მძლეოსანთა საერთაშორისო შეხვედრა

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ლუჟნიკში 27 ივლისს გამოიყურებოდა ისე, როგორც დიდი ფეხბურთის დღეებში. ინტერესი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა მატჩისადმი უდიდესი იყო. „ორი გიგანტის“ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ჩამოვიდნენ მრავალრიცხოვანი სპეციალისტები და ჟურნალისტები ევროპის, ამერიკის, აზიის ქვეყნებიდან. მატჩის პრეს-ცენტრში განუწყვეტლივ რეკენ ტელეფონები სხვადასხვა ქვეყნიდან.

ზუსტად 17 საათზე გაისმა ფანფარების ხმა და მწვანე მინდორზე გამოვიდნენ სტუმართა და მასპინძელთა გუნდები. ოფიციალური ცერემონიალისა და ორივე ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდეგ დაიწყო ეს დიდი მატჩი.

ათჭიდელთა შეჯიბრებაში საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მსოფლიო რეკორდსმენის ვ. კუზნეცოვისა (სსრ კავშირი) და რ. ჯონსონის (აშშ) ბრძოლა. პირველი დღის 5 სახეობის შემდეგ 4529 ქულით დაწინაურდა ამერიკელი მძლეოსანი. კუზნეცოვს აქვს 4420 ქულა. არის რეალური საფუძველი ვიფიქროთ, რომ მსოფლიო რეკორდი ამ სახეობაში განახლდება.

უროს ტყორცნაში გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. კონოლიმ (აშშ), რომლის შედეგია 67 მ. 28 სმ. გამარჯვებულის თანაგუნდელმა ა. ჰოლმა ურო ტყორცნა 64,94 მეტრზე და დაიკავა მეორე ადგილი. საბჭოთა სპორტსმენთაგან ა. სამოცვეტოვმა აჩვენა 64,65 მ, ხოლო მ. კრივონოსოვმა — 62,67 მ.

ვაჟთა რბენაში 100 მეტრზე ბრწყინვალე შედეგები ჰქონდათ ამერიკელ სპრინტერებს. ა. მერჩისონმა და ე. კოლიმორმა დისტანცია გაირბინეს 10,2 წამში, მაგრამ ფინიშთან მკერდით წინ იყო „ჯიბის სპრინტერი“, ზანგი მერჩისონი (ასე უწოდებენ მას პატარა ტანის გამო). საბჭოთა მორბენლებს ლ. ბარტენევსა და ი. კონოვალოვს ჰქონდათ ერთნაირი დრო — 10,4.

ამავე დისტანციაზე ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ამერიკელმა ბ. ჯონსმა — 11,6.

ბრწყინვალე შედეგი აჩვენა 400 მეტრზე რბენაში ცნობილმა ამერიკელმა მძლეოსანმა გ. დევისმა. მან შესანიშნავ ტემპში გაირბინა მთელი მანძილი და ფინიშთან წამმზომებმა აღნიშნეს 45,6. დევისის აშკარა უპირატესობაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მეორე ადგილზე გამოსულმა ბ. სოუტერნმა (აშშ) აჩვენა მხოლოდ 47,3, ხოლო ვ. რახმანოვმა (სსრ კავშირი) — 47,5.

ბირთვის კვრაში ყოველგვარი კონკურენციის გარეშე გამოდიოდა მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი პ. ობრაიენი: 19 მ 14 სმ ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია მძლეოსნობის ისტორიაში. ჩემპიონის თანაგუნდელმა ჯ. ლონგმა ბირთვი ჰკრა 17,76 მეტრზე, ხოლო სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. ლოშჩილოვმა — 16,98 მეტრზე.

დიდ წარმატებას მიაღწია საბჭოთა მძლეოსანმა გ. ბულატოვმა ჭოკით ხტომაში. შედეგით 4 მ 50 სმ მან დაიკავა პირველი ადგილი და 10 სანტიმეტრით უკან ჩამოიტოვა აშშ-ს ჩემპიონი რ. მორისი.

ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის უძლიერესი იყო საბჭოთა კავშირის გუნდის წევრი ნ. პონომარიოვა—51,84 მ. ამერიკელი ე. ბრაუნი გამოვიდა მეორე ადგილზე შედეგით 49 მ 41 სმ.

საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს პირველი ადგილები აგრეთვე სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის (ტ. ჩენჩიკი — 165 სმ), სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე (ლ. სპირინი — 1:32.43) და 10.000 მეტრზე რბენაში (ე. ჟუკოვი — 29.59,8).

სიგრძეზე ხტომაში ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა ამერიკელ ე. შელბის — 7 მ 94 სმ. საბჭოთა მძლეოსანი ი. ტერ-ოვანესიანი მას ჩამორჩა 18 სანტიმეტრით.

ესტაფეტაში 4×100 ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა გუნდმა დაამყარა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი — 44,8. საბჭოთა კავშირის მორბენალთა შედეგია 45,4 წამი.

ვაჟთა შორის ამავე სახეობაში ამერიკელებმა აჩვენეს 39,6 წამი, ხოლო საბჭოთა კავშირის გუნდმა — 40,3.

პირველი დღის შემდეგ საერთო ჩათვლაში წინ იყო აშშ-ს გუნდი — 83:75.

შეჯიბრება გუშინ დამთავრდა.

ნ. ბუბუშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ხვდებით მოსწავლეთა საკავშირო V სპარტაკიადას?—ეკითხება რედაქცია რესპუბლიკური ნაკრები გუნდების მწვრთნელებს

## მ. კეკელიძე

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი

✦

ჩვენ ვიბრძოლებთ მხოლოდ პირველი ადგილისათვის!

შარშან?

შარშან, მოსწავლეთა IV საკავშირო სპარტაკიადაზე, საქართველოს ჭაბუკმა კალათბურთელებმა მეხუთე ადგილი დაიკავეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ძალა თითქმის არაფრით ჩამოუვარდებოდა წლევანდელი შემადგენლობის ძალას და მაშასადამე, პირველობის ასეთივე დამაჯერებელი პრეტენდენტები იყვნენ. მაგრამ დებულების მიხედვით, ქვეჯგუფებში მხოლოდ პირველ ადგილებზე გამოსულ გუნდებს ეძლეოდათ უფლება განეგრძოთ ბრძოლა ჩემპიონობის სახელისათვის. მას შემდეგ, რაც მოსკოვის ჭაბუკთა გუნდმა ჩვენთან შეხვედრაში, ჩემის აზრით, მეტად საეჭვო გამარჯვება მიიღო, ეს უფლება ჩვენ ჩამოგვერთვა და ერთადერთი წაგებით მეხუთე ადგილზე წინ ველარ წავედით.

მაგრამ ასეთი შემთხვევითობა წელსაც ხომ არ მოხდება?! და ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს მოსწავლე კალათბურთელები მოიპოვებენ სწორედ იმ ადგილს, რომელიც მათ ძალას შეეფარდება.

წელს გუნდი კარგი შემადგენლობითაა დაკომპლექტებული. რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ლ. მოსეშვილი, „დინამოს" ოსტატთა გუნდის წევრი ვ. ალტაბაევი, კარგი მომავლის მქონე ჭაბუკი კალათბურთელები: ა. გლურჯიძე, თ. ომიაძე, კ. ჯიჯიხია, ქუთაისელი ა. საკანდელიძე, ბათუმელი ა. კაზანჯიანი და სხვები.

გუნდი კარგა ხანია სისტემატურ წვრთნას ატარებს. ვვარჯიშობთ დღეში ორჯერ: დილით ვმუშაობთ ტექნიკურ-ტაქტიკური დონის ამაღლებაზე, საღამოობით ვატარებთ საკონტროლო-საწვრთნელ თამაშებს.

---

## ვ. ინწკირველი

✦

წყალში მხტომელებს წელს „ბედი გვწყალობს". ახლახან თბილისში ჩატარებული საკავშირო პირველობა, რომელშიც ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრები გუნდებიც იღებდნენ მონაწილეობას, კარგი სკოლა იყო მოსწავლე სპორტსმენთათვის. და თუ ამ პირველობის შედეგებიდან ცალკე გამოვყოფთ მოზარდთა მიღწევებს, აღმოჩნდება, რომ საქართველოს ნორჩმა წყალში მხტომელებმა თანატოლთა შორის დაიკავეს საერთო მე-5 ადგილი. ახლა დაუპირისპირეთ ეს მიღწევა გასული წლის სპარტაკიადის შედეგებს (საერთო IX ადგილი, ჭაბუკებში — IX, ხოლო გოგონებში — VI ადგილი) და ცხადი გახდება, თუ რა პროგრესი გაუკეთებია ჩვენს ნაკრებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროგრესი დადასტურდება მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზეც. ამის საფუძველია შემდეგი გარემოება: შარშან ჩვენი გუნდის 8 ჩასათვლელი მონაწილიდან, მხოლოდ სამმა მოგვცა ქულები. დანარჩენებმა ვერ შეასრულეს სათანრიგო მოთხოვნები. წელს გუნდიდან შეჯიბრებაში მონაწილეობს 12 ჩასათვლელი სპორტსმენი, მათგან 6 ჭაბუკი, რომლებიც დამაჯერებლად ასრულებენ მე-2 თანრიგის ნორმატივს, და 6 გოგონა, რომელთაგან 5 აგრეთვე უეჭველად მისცემს გუნდს საჭირო ქულებს.

ეს კი იმის საწინდარია, რომ ჩვენ შეგვიძლია უკეთესი ადგილი დავიკავოთ, ვიდრე შარშან.

---

## ლ. კრილოვი

✦

გასულ წელს საქართველოს მოსწავლე წყალბურთელები სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ. გუნდი დაკომპლექტებული იყო 1939 წელს დაბადებული სპორტსმენებით. წელს, როგორც ცნობილია, მონაწილეთა ზღვრული ასაკია 18 წელი მაშასადამე. შარშანდელი გუნდი მთლიანად შეიცვალა და წელს შეჯიბრებაზე „ახალბედებით" წარვსდგებით.

შესუსტდა თუ არა გუნდი? მართალია, ეს ნაწილობრივ ასეა. მაგრამ მის კომპენსაციას ჩვენ ვახდენთ დაბეჯითებული, სისტემატური, მონდომებული წვრთნით. ბიჭები საბრძოლო განწყობილებით არიან და არ აპირებენ დათმონ თავიანთ „წინამორბედთა" მიღწევები. მეც, რასაკვირველია, ყოველნაირად ვუწყობ ხელს ამ ჭაბუკური სულისკვეთების გაღვივებას და ოდნავადაც არ ვაგრძნობინებ ჩემს „ეჭვებს". ყოველ შემთხვევაში, რაც არ უნდა იყოს, საპრიზო ადგილებს არ ჩამოვცილდებით.

---

## ა. ხანბულიანი

✦

შევძლებთ თუ არა გასული წლის სპარტაკიადაზე ნაჩვენები (მესამე ადგილი) შედეგის გაუმჯობესებას? ძნელია ამისი თქმა. შარშანდელისაგან განსხვავებით წელს ჩათვლაში ვაჟები და გოგონები ცალცალკე გამოდიან. ეს კი ახალ ამოცანებს სახავს ჩვენი ჩოგბურთელების წინაშე.

ვაჟები ნამდვილად ძ ლ ი ე რ ე ბ ი გვყავს. მათ რიგში არიან მძინარიშვილი და მუსაელიანი, რომლებმაც მოსკოვში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე წყვილთა თამაშებში მესამე ადგილი დაიკავეს. არც სხვებს აქვთ ნაკლები გამოცდილება. საერთოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ რიგის ტურნირის შ ე მ დ ე გ ჩვენს გუნდში არ მომხდარა ცვლილება.

დასამალი რაა—გოგონები უფრო სუსტები გვყავს. თუმცა, მათაც აქვთ ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრათა საჭირო გამოცდილება. ამიტომ საწვრთნელ პროცესში დიდ ადგილს ვუთმობთ გოგონებთან მუშაობას. ისინი ჯერჯერობით კარგ იმედებს იძლევიან.

სპარტაკიადას ყხსნით ჩოგბურთელები. 7 აგვისტოს პირველი თამაშები გვაქვს ამიტომ დარჩენილ დღეებში ჩავატარებთ გენერალურ თამაშებს, რაც ჩვენი ჩოგბურთელების ბრძოლისუნარიანობის შემოწმება იქნება.

---

## შ. მარგიშვილი

✦

ნათქვამია, ჩემპიონებს ბევრი მოეთხოვებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ჩემპიონი ჩვენს გუნდში არ დარჩა — მათ უკვე დაამთავრეს სკოლა. ამიტომ ახალ კოლექტივს, რომელიც დავაკომპლექტეთ თბილისის განათლების განყოფილების ორი გუნდის ბაზაზე და ქუთაისელი ვ. ავილოვით, მოუწევს ტრადიციის გაგრძელება. თუ როგორ შეძლებს იგი ამ ამოცანის შესრულებას—გვიჩვენებს მომავალი.

გუნდის კარგად მომზადებისათვის ყველაფერი კეთდება. გარდა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისა, კვირაში ორჯერ ფრენბურთელები გადიოდნენ ქალაქგარეთ, მაგალითად, ჟინვალში, ბეთანიაში, სადაც ეწყობოდა კროსები, დაბრკოლებათა გადალახვა და სხვ. სპორტსმენთა ფიზიკური გაკაჟების მიზნით.

1 აგვისტოს ვიწყებთ საკონტროლო თამაშებს ჩვენს მოწინააღმდეგეებთან, რომელნიც ამ დროისათვის ჩამოვლენ თბილისში.

---

## ნ. ძიაპშიპა

სპორტის დამსახურებული ოსტატი

✦

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ ძირითადად თბილისის გუნდების ბაზაზე დაკომპლექტდა ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელშიც არიან აგრეთვე ფეხბურთელები პერიფერიებიდან: მოროზოვი და ქორჩილავა (სოხუმი), შალამბერიძე (გალი), სიჭინავა და ნიშნიანიძე (ცხაკაია), ფანფელაშვილი (სტალინირი). ამჟამად შეკრებაზეა 18 სპორტსმენი.

ნორჩი ფეხბურთელები სრული დატვირთვით მუშაობენ. ეს კარგად ჩანს იმ საკონტროლო მატჩების შედეგებიდან, რომლებიც დღემდე ჩავატარეთ. მოვუგეთ (3:2) საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, ფრედ — 2:2 ვითამაშეთ ლანჩხუთის „კოლმეურნესთან" და ცხაკაიაში საქართველოს „სპარტაკის" ნაკრებთან (1:1). ანგარიშით 1:2 დამარცხება განვიცადეთ „ბურევესტნიკის" ოსტატ ფეხბურთელებთან.

გუნდის საერთო ფიზიკური მომზადება და მისი სპორტული ფორმა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ IV სპარტაკიადასთან შედარებით, სადაც ჩვენმა გუნდმა III ადგილი დაიკავა, უფრო კარგ შედეგს მივაღწევთ.

---

## ვ. რაზმაძე

✦

ნიჩბოსნებმა 26 ივნისიდან დავიწყეთ ვარჯიში მცხეთაში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო შეჯიბრებისათვის შერჩეულმა კონტინგენტმა მხოლოდ ივლისის მეორე ნახევრისათვის მოიყარა თავი. ერთ-ერთი ძლიერი ნიჩბოსანი ბათუმელი ს. მკრტიჩიანი დღემდე არ გამოცხადებულა შეკრებაზე მონაწილეთა სრულად თავმოყრის ასეთმა შეგვიანებამ არ შეიძლება არ დაასვას დაღი გუნდის მომზადებას, განსაკუთრებით ესტაფეტებში. ამის მიუხედავად ჭაბუკთა და გოგონათა გუნდი დღეისათვის ძირითადად დაკომპლექტებულია. ვვარჯიშობთ წინასწარ შედგენილი გეგმით და მტკიცედ ვიცავთ დღის რეჟიმს. გუნდი უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით. შეკრების დამთავრებამდე განზრახული გვაქვს ორჯერ ჩავატაროთ შერჩევითი შეჯიბრება.

არანორმალური მდგომარეობაა გუნდის საექიმო ზედამხედველობის მხრივ. დღემდე არც ერთი ნიჩბოსანი არ არის ექიმის მიერ სათანადოდ შემოწმებული, რაც სპორტის ამ სახეობაში განსაკუთრებით დაუშვებელია.

სპარტაკიადამდე ცოტა დრო დარჩა, ამიტომ ჩვენი მიზანია მისი რაციონალურად გამოყენება და ბრძოლა უკეთესი ადგილისათვის.

---

## ს. გახტაძე

✦

ველოსიპედისტთა გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია პირველთანრიგოსნებით, ხოლო ერთ მონაწილეს სპორტის ოსტატის საპატიო სახელიც აქვს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სპარტაკიადაზე ჩათვლაში მხოლოდ მეორე თანრიგის შედეგები შედის, მაშინ, როგორც ვხედავთ, ჩვენი გუნდი ცუდად არ გამოიყურება. გასულ სპარტაკიადაზე ჩვენმა გუნდმა დიდად გაუსწრო მოწინააღმდეგეებს, მაგრამ პირველობა დავკარგეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩათვლაში შემავალ ერთ-ერთ მონაწილე გოგონას შედეგი მსაჯთა კოლეგიამ გააუქმა.

ახლა შეკრებაზე მთელი ენერგიით ვვარჯიშობთ და იგი უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, რომ ხელისშემშლელი პირობები არ გვაწუხებდეს—განვიცდით ახალი ტიპის სარბოლო მანქანების სიმცირეს, არა გვაქვს მოტოციკლი, რათა მივყვეთ წვრთნის მსვლელობას, არა გვყავს ექიმი.

ხელშემშლელი პირობების მიუხედავად, შეკრების ყველა მონაწილეს გადაწყვეტილი აქვს პირველობა არავის დაუთმოს. ასე ვფიქრობთ მწვრთნელებიც.

---

## გ. დათაძე

✦

საქართველოს ნორჩ მოცურავეთა მზადება, კერძოდ წინასასპარტაკიადო შეკრება, თავიდანვე არანორმალურ პირობებში წარიმართა. საკმარისია ითქვას, რომ შეკრებაზე სამეცადინოდ ნავარაუდევი 46 სპორტსმენის ნაცვლად ხელში შემოგვრჩა მხოლოდ 15. ამის მიზეზია მოცურავეთა საკავშირო პირველობაზე უფროსებთან ერთად ჭაბუკებისა და გოგონების გუნდების მონაწილეობა. მართალია, ამ გარემოებას თავისი დადებითი მხარეებიც გააჩნია, მაგრამ უცილობელია მისი ნაკლოვანებანიც, მით უმეტეს იმ პერიოდში, როცა მოსწავლეთა სპარტაკიადა კარზეა მომდგარი: საკავშირო ასპარეზობაზე ბავშვები დაიქანცნენ, ამასთან, ისინი უკვე კარგა ხანია მოცილდნენ ჩვენს უშუალო კონტროლს და სპეციალურ წვრთნას არ გადიან მთელ გუნდთან ერთად; დაბოლოს, მათი ნაწილი კიდევ 14 აგვისტომდე დაჰყოფს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ „დინამოს" საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობის გამო. ე. ი. ისინი ჩამოსვლასაც ვერ მოასწრებენ, და მაშინვე ახალ ასპარეზობაში ჩაბმა მოუხდებათ.

როგორც ხედავთ, სურათი თითქოს საკმაოდ „უნუგეშოა", მაგრამ ეს ერთის წუთითაც არ მიიღოთ ფარ-ხმლის დაყრად. ჩვენ მაინც ვეცდებით შარშანდელი პოზიციების შენარჩუნებას (საერთო V ადგილი, ჭაბუკებში III ადგილი, გოგონებში — VII ადგილი). შესაძლებელია წელს ჭაბუკებმა უკეთეს მაჩვენებლებსაც მიაღწიონ.

---

## გ. მამარდაშვილი

სპორტის ოსტატი

✦

ჩვენი ტანმოვარჯიშე ჭაბუკები უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩემპიონები იყვნენ. მაგრამ ახლა მათგან არც ერთი არ დარჩა გუნდში და სპარტაკიადაზე ახალი ძალებით წავრსდგებით. რ. ჯაფარიძე, ს. ხოდიკიანი და ა. ფარულავა იმუშავებენ ოსტატების, ხოლო გუნდის დანარჩენი წევრები — პირველი თანრიგის პროგრამით. აღსანიშნავია, რომ ჭაბუკთა გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია თბილისის ტანვარჯიშული სპორტსკოლის აღსაზრდელებით.

გოგონების გუნდში ძველი შემადგენლობიდან არიან მ. ნინოშვილი და ა. მარიამიძე. მათთან წვრთნას გადიან როგორც სხვა თბილისელი ტანმოვარჯიშე გოგონები, ისე ქუთაისელები ე. ბენიძე და ა. თორაძე.

ნორჩ ტანმოვარჯიშეებთან მუშაობენ ჩვენი საუკეთესო მწვრთნელები გ. ჭილაია, ნ. ბახუტაშვილი, კ. გრომოვი, ნ. მახვილაძე და ე. ქოვლიევა. მეცადინეობის გარდა ეწყობა გასვლები ქალაქგარეთ, საკონტროლო ვარჯიშები.

ამას წინათ ჩვენი ჭაბუკთა და გოგონათა გუნდის წევრები მონაწილეობას ღებულობდნენ „ნორჩი დინამოელის" პირველობაში, რომელიც კიევში გაიმართა. ჩვენმა სპორტსმენებმა იქ კიდევ ერთხელ შეამოწმეს თავიანთი მზადყოფნა.

აგვისტოს დამდეგს მოვაწყობთ შესარჩევ ვარჯიშებს და საბოლოოდ დავაკომპლექტებთ გუნდს, რომელიც წარსდგება სპარტაკიადაზე.

---

## შეასრულეს სათანრიგო ნორმები

ამას წინათ რიგაში დამთავრდა ლატვიის და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი. თვითეულ გუნდში 6 მოჭადრაკე იყო.

შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა. საქართველოს მოჭადრაკეებმა კარგი თეორიული და სპორტული მომზადება გამოავლინეს და გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 22:14.

აღსანიშნავია ნ. პანინისა და გ. სიმონიანის წარმატება, რომლებმაც შეასრულეს პირველი საკავშირო თანრიგის ნორმატივი. გ. კოკაშვილმა შეასრულა მეორე თანრიგი, ხოლო გუნდის დანარჩენმა წევრებმა გ. ვეფხვაძემ, ვ. კურიხინმა და ნ. მირონოვმა დაიმტკიცეს მეორე თანრიგი.

მომავალ წელს თბილისში მატჩრევანშის სათამაშოდ ჩამოვლენ ლატვიელი მოჭადრაკეები.

ა. ქერეჟაშვილი,
უსინათლოთა კულტურის სახლის დირექტორი.



# მატჩები ზონაში დაიწყო

ქ. შახტი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დაიწყო საკავშირო ზონალური გათამაშება ფეხბურთში „ა“ და „ბ“ კლასების კოლექტივებთან არსებულ მოზარდთა გუნდებს შორის. ტურნირში მონაწილეობენ „სპარტაკი“ (მოსკოვი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „დინამო“ (თბილისი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი).

გათამაშების პირველ დღეს სპარტაკელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს „კრილია სოვეტოვი“. მატჩი თბილისის გუნდებს „დინამოსა“ და „ბურევესტნიკს“ შორის მოიგეს დინამოელებმა — 6:2.

# სარბიელზე კვლავ აკრობატები არიან

თბილისში სულ ახლახან დამთავრდა მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება აკრობატიკაში და სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები კვლავ გამოვიდნენ სარბიელზე. ამჯერად მიმდინარეობს „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა.

პირველი თანრიგის შერეულ წყვილთა შორის სავალდებულო პროგრამის ვარჯიშებში დაწინაურდნენ საქართველოს გუნდის წევრები კაკიაშვილი-მაკლაკოვა. მათ ყველა ვარჯიში კარგად შეასრულეს და მიიღეს 73.15 ქულა. წყვილებს შორის წინ არიან მინასოვი და ფისენკო.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ხტომებში პირველთანრიგოსან ქალთა შორის. აქ ლიდერი გახდა მოსკოველი ზ. ზელენოვა, რომელმაც დააგროვა 35,75 ქულა. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო რსფსრ-ს წარმომადგენელი ი. დულტოვი — 35,75.

ოსტატთა თანრიგში ქალთა შორის სავალდებულო ვარჯიშების შესრულებისას მაგნიტოგორსკელმა ა. პროკოფიევამ მიიღო 36,85 ქულა და 0,35 ქულით გაუსწრო სსრ კავშირის ყოფილ ჩემპიონს ა. კოლოსოვას (იაროსლავლი).

ვაჟთა შორის მაღალი ოსტატობითა და დახვეწილი ტექნიკით გამოირჩეოდა მინსკელი აკრობატი ვ. ბირიუკოვი — 37,37 ქულა.

შერეულ წყვილში ოსტატთა პროგრამით კარგად მომზადებული გამოდიან უკრაინის გუნდის წარმომადგენლები კაშაევი და ტარასოვა.

მშვენივრად დაიწყო ვარჯიში კრასნოდარელმა წყვილმა ა. კორნიევმა და პ. ანანევიჩმა, მაგრამ მესამე ვარჯიშის შესრულებისას ანანევიჩმა (ქვეითა) სამი ნაბიჯი გადადგა და წყვილი შეფასების გარეშე დარჩა. მეორე ცდაზე კორნიევმა და ანანევიჩმა კვლავ დაუშვეს შეცდომა და სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ აღმოჩნდნენ მეორე ადგილზე. აქ დაწინაურდნენ ბელორუსიის გუნდის წევრები ე. რუდოი და ო. ჩერეპანოვი.

ოთხეულთა შორის ყველას აჯობეს მოსკოველებმა (პიხოვი, ნიკოლაევი, მაკაროვი, ფედოროვი).

**მ. ქელეხსაშვილი**

* * *

**სურათზე:** კიეველი ი. მერლივანი ასრულებს ვარჯიშს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

მიმდინარე წლის 25 ივლისს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირველობის კალენდარულ მატჩში გარეუბნისა და ბოგდანოვკის გუნდებს შორის, ბოგდანოვკის „კოლმეურნის“ შემადგენლობაში სხვისი გვარით გამოდიოდა ასპინძის გუნდის მოთამაშე ი. ლოგინოვი. ეს კარგად იყო ცნობილი ფიზკულტურისა და სპორტის ბოგდანოვკის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ვ. კარსელიანისათვის, რომელიც თვითონ მონაწილეობდა ამ მატჩში, და გუნდის კაპიტნის — ს. პუტულიანისათვის, მაგრამ მათ მიჩქმალეს ეს აღმაშფოთებელი ფაქტი.

მეტიც, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სხდომაზე, რომელმაც განიხილა ეს საკითხი, ბოგდანოვკის გუნდის წევრებს ს. კარსელიანსა და ს. ბროიანს გამომწვევად [illegible] თავი.

რესპუბლიკურ[illegible] ნებით სხვა გუნდის მოთამაშის დაშვებისათვის ბოგდანოვკის გუნდს ჩაეთვალა წაგება; რაიონიდან თვითნებური, რესპუბლიკური კომიტეტის შეუტყობინებლად წასვლისათვის და აგრეთვე ფეხბურთელთა გუნდში წესრიგის უქონლობის გამო ბოგდანოვკის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. კარსელიანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და აეკრძალა ფეხბურთელთა შეჯიბრებებში მონაწილეობა; ასპინძის გუნდის მოთამაშის დაშვებისათვის და გუნდში წესრიგის უქონლობისათვის ბოგდანოვკის „კოლმეურნის“ ფეხბურთელთა გუნდის წევრი ს. პუტულიანი მოიხსნა კაპიტნობიდან; ს. ლოგინოვს სხვა გუნდში სხვისი გვარით გამოსვლისათვის გამოეცხადა საყვედური; რესპუბლიკურ კომიტეტში უტაქტო მოქმედებისათვის ბოგდანოვკის გუნდის წევრებს ს კარსელიანსა და ს. ბროიანს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

# რევანში აღებულია

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 27 ივლისი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „თერგი“ (გროზნო) — 5:0 (1:0).

„თერგი“ — პეტუხოვი; დანილოვი, ლიუცფაი, კაიუშნიკოვი; ვლასოვი, ჟერდევი; ბატაშოვი, დანილოვი, სერედნიაკოვი, დიაჩენკო, პისმენი.

„ბურევესტნიკი“ — რუხაძე; გაგუა, კუჭავა, წოწელია; მუმლაძე, სიჭინავა; იაშვილი, ჩიჩუა, ურთქმელიძე, ზეინკლიშვილი, ავაქოვი.

მსაჯი ნ. ლატიშევი (მოსკოვი).

საქართველოს „ბ“ კლასის ფეხბურთელებს მეორე წრეში განსაკუთრებული „ანგარიშები“ აქვთ გროზნოს „თერგთან“, ვინაიდან პირველ წრეში გროზნელებმა დამარცხება მიაყენეს საქართველოს სამივე გუნდს.

მატჩის დასაწყისი არაფერს მეტყველებდა იმაზე, რომ „ბურევესტნიკი“ აიღებდა რევანშს და ისიც ასეთი დიდი ანგარიშით. ორივე გუნდი თამაშობდა საკმაოდ უსისტემოდ, ტაქტიკური ნახაზის გარეშე, თუმცა ტერიტორიული უპირატესობა კარგა ხანს თბილისელთა მხარეს იყო.



ანგარიში გაიხსნა მხოლოდ ტაიმის დასასრულს, როცა იაშვილმა ჩიჩუას გადაცემის შემდეგ ახლო მანძილიდან შეაგორა ბურთი კარში — 1:0.

სულ ახალი დაწყებული იყო მეორე ტაიმი და „თერგის“ კარში დაინიშნა კუთხური საჯარიმო. იაშვილმა ბურთი მიაწოდა წინ გამოსულ გაგუას, ამ უკანასკნელმა — ზეინკლიშვილს და სტუმართა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა — 2:0.

გროზნელებმა მცირე ხნით შეძლეს ინიციატივის ხელში აღება. მათი თავდამსხმელები (განსაკუთრებით ბატაშოვი და სერედნიაკოვი) რამდენიმეჯერ სახიფათოდ გავიდნენ მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ აქ მშვიდად და დარწმუნებულად თამაშობდნენ როგორც მცველები, ისე მეკარე რუხაძე.

შემდგომში თამაშმა კვლავ „თერგის“ ნახევარზე გადაინაცვლა. 37-ე წუთზე ზეინკლიშვილმა მიიღო ურთქმელიძის გადაცემა, გავიდა მეკარის პირისპირ და ზუსტად დაარტყა კარში — 3:0.

სტუმრებს ფაქტიურად უკვე წაგებული ჰქონდათ მატჩი. ალბათ ამიტომ მათ შეასუსტეს თამაში და დაუყოვნებლივ იქნენ დასჯილი ზედიზედ 2 გოლით, რომლებიც გონგის შემდეგ გაიტანა ურთქმელიძემ.

რევანში შედგა. „ბურევესტნიკმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 5:0.

**ზ. ქორიძე**

* * *

**სურათზე:** „ბურევესტნიკის“ თავდამსხმელს ზეინკლიშვილს გააქვს მესამე ბურთი „თერგის“ კარში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ახალგაზრდობის დიდი დღესასწაულის შესახვედრად

ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავი დიდ შრომით და სპორტულ აღმავლობას იწვევს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებში. ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში კომკავშირული ორგანიზაციები სპორტულ აქტივთან ერთად აწყობენ მრავალრიცხოვან შეჯიბრებებს, სპარტაკიადებს, ლაშქრობებს.

ამას წინათ ქუთაისის ავტოქარხნის მოტოციკლისტებმა მოაწყეს მოტოგადარბენა მარშრუტით: საავტომობილო ქარხანა-წყალტუბო-წულუკიძე -სამტრედია-ქუთაისი-საავტომობილო ქარხანა, რომელიც მიუძღვნეს საბჭოთა ახალგაზრდობის ღირსშესანიშნავ თარიღს. მოტოგადარბენამ საინტერესოდ ჩაიარა,— გვწერს ჩვენი კორესპონდენტი ზ. მესენგისერი. — სპორტსმენები წყალტუბოში, სამტრედიასა და წულუკიძეში შეხვდნენ ახალგაზრდებს, ესაუბრნენ მათ ქარხნის საქმიანობის შესახებ და იმ ახალი ხუთტონიანი სატვირთო მანქანის „კაზ-605“ შექმნაზე, რომლის საცდელი ნიმუში თან მიჰყვებოდა მოტოკოლონას.

ზესტაფონის ახალგაზრდა მეტალურგებმა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა სპორტსმენებმა, — იტყობინება ჩვენი ზესტაფონელი კორესპონდენტი ს. ტალახაძე, — რაიონის დოსააფის სპარტაკიადა დაუკავშირეს კომკავშირლებისა და ახალგაზრდობის ზეიმისათვის მზადებას. სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში, ცურვაში, ყუმბარის ტყორცნასა და ველორბოლაში.

შეჯიბრება ცურვაში მოიგეს მომავალმა აგრონომებმა, ხოლო ველორბოლაში პირველნი იყვნენ მეტალურგები. სროლასა და ყუმბარის ტყორცნაში უძლიერესის სახელი დაიმსახურეს პირველი სვირის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

ს. ტალახაძე აღნიშნავს — „სპარტაკიადამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდებში, რომ მასში მონაწილეობა მიიღო 3770-მა სპორტსმენმა, რომელთაგან 893-მა შეასრულა სათანრიგო ნორმატივები“.

არც სოფლის სპორტსმენები ჩამორჩებიან კომკავშირელთა დღესასწაულის შესანიშნავ ღონისძიებათა ჩატარებაში. მაგალითად, გურჯაანის რაიონში, — გვწერს ჩვენი კორესპონდენტი ი. ოდიშელიძე, ფრენბურთელებმა თავიანთი რაიონის პირველობაში ჩააბეს 17 ძირეული კოლექტივის სპორტსმენები. ამან განაპირობა ბრძოლა, რის შედეგადაც გამოვლინდა უძლიერესი — ბაკურციხის ტექნიკუმი.

წერილში, რომელიც ყაზბეგიდან მიიღო რედაქციამ ჩვენი კორესპონდენტის შ. მარსაგიშვილისაგან, ნათქვამია, რომ ყაზბეგელმა ცხენოსნებმა და ფრენბურთელებმა საინტერესო შეჯიბრება ჩაატარეს ამ სახეობაში. მაყურებელი კმაყოფილი დარჩა 13 ცხენოსნის ვაჟკაცური ჰიდილით. 6-კილომეტრიანი დოღი მოიგო გორისციხელმა მხედარმა შ. ჩქარეულმა, ხოლო 8-კილომეტრიანი— ბ. ფიცხელაურმა. არანაკლებ მიმზიდველი გამოდგა ფრენბურთელთა შეჯიბრება, რომელშიც ჩემპიონის სახელისათვის ერთმანეთს ეცილებოდა 5 საკოლმეურნეო და 3 სასკოლო გუნდი.

ახალგაზრდობის დღესასწაული, რომელიც შემოდგომაზე ჩატარდება, ამხნევებს ჩვენს სპორტსმენებს, რომლებიც საწარმოო და შრომითი თავგამოდებებით ხვდებიან მას.

---

რიოდი პირველი ეტაპია და როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, მეტად მნიშვნელოვანიც. როგორც ვიცით, სპარტაკიადა მარტო ფინალურ შეჯიბრებებს როდი გულისხმობს, მისი მთავარი მიზანია მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობა, ახალი კოლექტივებისა და სექციების ჩამოყალიბება. ეს ყველაფერი შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააგიტაციო მუშაობას ფართოდ გავშლით, თუ სპარტაკიადის დებულებას დავიყვანთ თვითეულ ფიზკულტურელამდე, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სააგიტაციო მუშაობას მარტო ჩვენი ძალებით ვერ გავშლით და არც ორი ლექტორის საქართველოს ქალაქებსა [და რ]აიონებში მოგზაურობაა საკმა[რის]ი. საჭიროა ამ საქმეში ქმედითად ჩავაყენოთ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების

[illegible] მიმდინარე წელს [illegible] სმენებს. მათი ძუნწი გეგმიდან მხოლოდ ერთი წიგნი თუ შეეფარდება სპარტაკიადისათვის მზადებას. ეს არის ლ. გიორგაძის „მძლეოსნობა“, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში თუ მას ეღირსა დღის სინათლე. ფიზკულტურულ ორგანიზაციებს თავისი საკუთარი გამომცემლობა რომ ქონდეთ, მაშინ საქმე ასე არ იქნებოდა, მაგრამ რადგანაც ასეთი არა გვაქვს, სხვა გამომცემლობები უნდა შევიდნენ ჩვენს მდგომარეობაში, უნდა შეიგრძნონ ის თუ რა საპასუხისმგებლო საქმეში არიან ჩაბმული რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მათ.

ლიტერატურის გარდა გვჭირდება მხატვრული და სასწავლო პლაკატები. მართალია, სასწავლო პლაკატებს საკავშირო კომიტეტი ხანდახან გვიგზავნის ხოლმე, მაგრამ ცოტას და

[illegible]ნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ საჭიროა აამოქმედოს თავისი აქტივი.

რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, ოლქების ფიზკულტურის კომიტეტებმა კომკავშირის სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით უნდა მოამზადონ სააგიტაციო მოტოველო ან ქვეითი ლაშქრობა, კოლონა გააფორმონ გემოვნებით, გააყოლონ მომზადებული ლექტორი, შემოიარონ რაიონის ყველა სოფელი და ხალხს გააცნონ სპარტაკიადის მიზნები.

ჩვენ ყველამ ვიცით უნარიანად დაყენებული აგიტაციის ცხოველმყოფელი ძალა. სწორედ ეს ძალა გვჭირდება ამ მომენტში, რათა თავიდანვე სწორი მიმართულება მივცეთ სპარტაკიადისათვის მზადებას,

[illegible] სანტიმეტრით გააუმჯობესა ბრაზილიელი ადემარ და სილვას მსოფლიო რეკორდი. 1500 მეტრზე რბენა მოიგო ჯ. გრელმა (აშშ) — 3.46,7. გამარჯვებულს 0,6 წამით ჩამორჩა საბჭოთა სპორტსმენი ი. პიპინე. 3000 მეტრზე დაბრკოლებებით

## ჭიდაობის საერთაშორისო ფე[დერაციის კონგრესი]

23 ივლისს ბუდაპეშტში შედგა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი.

ფედერაციამ მიიღო ახალი წევრები: კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ავღანეთი, პორტო-რიკა და მალაია. ამრიგად, ამჟამად ფედერაციაში ირიცხება 72 წევრი.

კონგრესმა დაადგინა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში მსოფ[ლიო]



სურათზე: გათამაშებაში გამარჯვებული თბილისის „ნორჩი დინამოელის“ გუნდი.

ტექსტი და ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

# ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებები

## ჭიდაობა

ხარკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. დაძაბული ბრძოლების შედეგად გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს რსფსრ-ს მოჭიდავეებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის გუნდი. საქართველოს ჭაბუკმა სპორტსმენებმა დაიკავეს მესამე საპრიზო ადგილი.

პირად ჩათვლაში წარმატება ხვდა წილად საქართველოს გუნდის წარმომადგენელს რ. ლეკვეიშვილს, რომელმაც მოიპოვა ჩემპიონის წოდება. თავიანთ წონით კატეგორიებში თ. ხითარიშვილმა და ჯ. ძნელაძემ დაიკავეს მეორე ადგილები.

ი. ჩხარტიშვილი

## კრივი

ჩვენი ქვეყნის ჭაბუკ მოკრივეთა პირად-გუნდურ შეჯიბრებაზე, რომელშიც 17 გუნდი იღებდა მონაწილეობას, საქართველოს ნაკრები მე-6 ადგილზე გამოვიდა. პირად ჩათვლაში თბილისელებმა ვ. ცერცვაძემ (უმჩატესი წონა) და ჯ. რაზმაძემ (ქვემსუბუქი წონა) მოიპოვეს მეორე ადგილები, ხოლო ვ. ალექსენოკმა (პირველი საშუალო წონა) და ვ. კაკუტიამ (ქვემძიმე წონა) — მესამე ადგილები.

მიმდინარე წლის ოქტომბერს კიევში ჩატარდება საკავშირო ახალგაზრდული შეჯიბრება კრივში, სადაც დაიშვებიან არაუმეტეს 21 წლის სპორტსმენები. ჭაბუკ და ახალგაზრდა მოკრივეთა შეჯიბრების შედეგების მიხედვით გადაწყდება საერთო გუნდური პირველობის საკითხი 1958 წლისათვის.

ა. ბაქარაშვილი

# სპორტი ქალაქებსა და რაიონებში

## სიღნაღი

ჩატარდა სპორტული საზოგადოება „განთიადის“ რაიონული პირველობა ფრენბურთსა და ტყვიით სროლაში.

ფრენბურთში პირველი ადგილი დაიკავა განათლების მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა, მეორე იყო რაიონის საავადმყოფოს გუნდი.

ორ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ტყვიით სროლაში. პირველ ადგილზე გამოვიდნენ განათლების მუშაკთა პროფკავშირის მსროლელები. მეორე ადგილი დაიკავეს კავშირგაბმულობის რაიკანტორის პროფკავშირის გუნდის მსროლელებმა.

პირად პირველობაზე პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს ა. დიერიაშვილმა (განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირი) და ი. აბულაშვილმა (რაისაავადმყოფოს პროფესიონალური კავშირი).

ნ. მლებრიევა

## გარდაბანი

ჩატარდა შეხვედრა ფეხბურთში ახალი ულიანოვკის კოლმეურნეობისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ახალი ულიანოვკის ფეხბურთელების სასარგებლოდ — 1:0.

მ. ამირჯანოვა

## ხაშური

ხაშურის რაიონის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნემ“ კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნა შეჯიბრება მშთ-ს მრავალჭიდში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა ახალგაზრდამ ნორმატივებს გარდა ჩაბარებულ იქნა სათანრიგო ნორმები 100 მ რბენასა და სიგრძეზე ხტომაში.

შ. ლურსმანაშვილი

ქუთაისში ამას წინათ დამთავრდა ზონალური გათამაშება „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებულ მოზარდთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ „ლოკომოტივი“ (ქუთაისი), „შრომითი რეზერვები“ (კურსკი), სკვო (როსტოვი), სკვო (თბილისი), „შირაქი“ (ლენინაკანი), ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (ლენინგრადი) და „დინამო“ (თბილისი).

შესანიშნავად ჩაატარეს გათამაშება თბილისის „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც 6 შეხვედრიდან ექსივე თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს ისე, რომ საკუთარ კარში არ მიუღიათ არც ერთი ბურთი. 12 ქულა 12 შესაძლებლიდან, 77:0 ბურთების შეფარდება — ასეთია გამარჯვებულთა შესანიშნავი აქტივი ჩატარებულ ტურნირში.

მეორე ადგილი დაიკავეს ქუთაისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს თბილისელებთან, ხოლო ყველა დანარჩენი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს.

## წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 6 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა მამხილებელი წერილი „გამოუყენებელი ჯილდო, ჩაშლილი სექციები“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არტელ „რემობუვის“ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი წლების მანძილზე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა რესპუბლიკაში. მაგრამ ეს იყო წინათ. წელს აქ სრულებით შეწყდა სპორტული საქმიანობა.

როგორც საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის სახელობის რაიკომიდან გვატყობინებენ, კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კიროვის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის სხდომაზე და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

## მეტალურგთა სპარტაკიადა

მეტალურგის დღის აღსანიშნავად ზესტაფონის ფერო-შენადნობთა ქარხანაში გაიმართა მეორე სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა 257 სპორტსმენი. ჩატარდა შეჯიბრება მძლეოსნობაში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთსა და ფრენბურთში

სპარტაკიადაში გაიმარჯვეს № 2 სადნობი საამქროს ფიზკულტურელებმა.

ხ. ტალახაძე

## [illegible]

ჩვენი გაზეთის მკითხველები კ. დგებუაძე, ს. მახარაშვილი ნ. ოდიშელიძე და სხვები გვთხოვენ დავბეჭდოთ მასალა პროფესიონალური კრივის არსის შესახებ. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვაქვეყნებთ ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტში“ დაბეჭდილ გ. ვიქტოროვის წერილს.

კრივმა თავისი განვითარება დაიწყო უძველესი საუკუნეებიდან მუშტით ბრძოლის ერაში და თანამედროვე სახით მოაღწია ჩვენამდე. კრივმა განიცადა აღმავლობაც და დაცემაც, მიიღო სხვადასხვა სახე. გამოიცვალა შეჯიბრების წესები, იკრძალებოდა და კვლავ თავის უფლებებში შედიოდა სხვადასხვა ქვეყნის კანონებით.

ჩვენს დროში კრივის ორი სახეობაა — პროფესიონალური და სამოყვარულო. სიტყვა „პროფესიონალური კრივი“ დიდი ხანი არაა რაც გამოჩნდა XX საუკუნის დასაწყისში, როცა სპორტის ეს სახეობა ბევრისათვის არსებობის წყაროდ და პროფესიად გადაიქცა.

სოციალისტურ ქვეყნებში პროფესიონალური კრივი აკრძალულია და დიდი გავრცელება მან მხოლოდ დასავლეთში ჰპოვა. პროფესიონალურ მოკრივეთა მსოფლიო პირველობათა გათამაშება არც თუ ისე დიდიხანია რაც წესად შემოვიდა. ეს აიხსნება იმით, რომ მრავალი წლის განმავლობაში კრივი ფეხმოდგმული იყო მხოლოდ ინგლისში და ამ ქვეყნის ჩემპიონი მსოფლიოში უძლიერეს მოკრივედ ითვლებოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩემპიონატებში პირველი გამარჯვებული იყვნენ საშუალო ფიზიკური მონაცემების მქონე ახალგაზრდები, რომლებიც მოქნილობის წყალობით იმარჯვებდნენ მათზე უფრო ფიზიკურად ძლიერ მოწინააღმდეგეებზე. საყოველთაოდ აღიარებული მსოფლიო პირველი ჩემპიონი (უხელთათმნოდ) 1719 წელს იყო ინგლისელი ჯეიმს ფიგი, რომელიც 79 კილოგრამს იწონიდა. ... მიმდინარეობდა ინგლისელი მარკიზის კვინსბერის ახალი წესებით, რომლის მიხედვით მოკრივეებს ეკრძალებოდათ ჭიდაობა. მაშინ მოწინააღმდეგეები რინგის ისეთ ფართობზე იბრძოდნენ, როგორიც ახლა არის. ხელთათმანის წონა უდრიდა 150 გრამს. რაუნდის ხანგრძლივობა 3 წუთს უდრიდა ერთწუთიანი შესვენებით. რაუნდების რაოდენობა განსაზღვრული არ იყო. დამარცხებულად ითვლებოდა ის, ვინც უარს იტყოდა ბრძოლის გაგრძელებაზე ან მას ნოკაუტში გაგზავნიდა მოწინააღმდეგე.

თუმცა კრივის ეს სასტიკი წესები საზოგადოებრივი აზრის წყალობით ხშირად იცვლებოდა, მაგრამ მათ დღემდე არაადამიანური ხასიათი აქვთ. სულ ახლახან აკრძალულ იქნა კეფაში და თირკმლებში მორტყმა, ბრძოლა პატარა ხელთათმანებით, რომლებიც მხოლოდ მოკრივის ხელებს იცავს დაზიანებისაგან, აიკრძალა ნოკდაუნების განუსაზღვრელი რაოდენობა.

მაგრამ ახლაც კი მოკრივეს, რომელმაც მეტოქეს არასწორი დარტყმა მიაყენა, დისკვალიფიკაციას კი არ აძლევენ, არამედ დამარცხებულად ... და შეხვედრის ორგანიზატორებმა, გამარჯვებულმა და დამარცხებულმა.

პროფესიონალურმა კრივმა ყველაზე დიდი განვითარება ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ არსებობს მოკრივეთა გაერთიანებები. ხშირად მოკრივეები აწყობენ გაფიცვას. უკანასკნელ დრომდე ყველაზე დიდ მონოპოლისტად ითვლებოდა ვინმე მაიკ ჯეკობსი, რომელმაც თავისი კარიერა ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაიწყო ბილეთების სპეკულაციით, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ მილიონერი გახდა. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, თუ რა შემოსავალს იძლევა კრივი, საინტერესოა გადავხედოთ მატჩების ციფრებს. 1927 წელს მსოფლიო პირველობაზე ჯეკ დემპსისა და ჯინ ტუნეის შორის შემოსავალი უდრიდა 2,5 მილიონ დოლარს, ჯო ლუისისა და ბილი კონის 1946 წლის შეხვედრამ მის ორგანიზატორებს 2 მილიონი დოლარი შემოსავალი მისცა. ბილეთების ფასი ზოგიერთ მატჩზე 100 დოლარამდე აღწევს, ხოლო 10-20 დოლარი ჩვეულებრივი ფასია.

„მაიკ ჯეკობსი, — წერდა ბ. შულბერგი ამერიკულ ჟურნალ „კოლერსში“, — არის ადამიანი, რომლის სახელი დაკავშირებულია მილიონობით შემოსავალთან, ადამიანი, რომელიც კრივმა მილიონერი გახადა. ეს დაუღალავი ბებერი მტაცებელ ფრინველს ჰგავს, რომელმაც თავისი ცხოვრება დოლარების დევნას მოანდომა და თავისი მოღვაწეობის განმავლობაში სალაროების გარდა სხვა არაფრით დაინტერესებულა...“ დაიწყო რა თავისი სვლა კრივის ფინანსური მწვერვალებისაკენ 1939 წელს ...

ვ. რაზმაძე

ნიჩბოსნებმა 26 ივნისიდან დავიწყეთ ვარჯიში მცხეთაში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო შეჯიბრებისათვის შერჩეულმა კონტინგენტმა მხოლოდ ივლისის მეორე ნახევრისათვის მოიყარა თავი. ერთ-ერთი ძლიერი ნიჩბოსანი ბათუმელი ს. მკრტიჩიანი დღემდე არ გამოცხადებულა შეკრებაზე მონაწილეთა სრულად თავმოყრის ასეთმა შეგვიანებამ არ შეიძლება არ დაასვას დაღი გუნდის მომზადებას. განსაკუთრებით ესტაფეტებში. ამის მიუხედავად ჭაბუკთა და გოგონათა გუნდი დღეისათვის ძირითადად დაკომპლექტებულია. ვვარჯიშობთ წინასწარ შედგენილი გეგმით და მტკიცედ ვიცავთ დღის რეჟიმს. საერთოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ რიგის ტურნირის შემდეგ ჩვენს გუნდში არ მომხდარა ცვლილება.

დასამალი რაა—გოგონები უფრო სუსტები გვყავს. თუმცა, მათაც აქვთ ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრათა საჭირო გამოცდილება. ამიტომ საწვრთნელ პროცესში დიდ ადგილს ვუთმობთ გოგონებთან მუშაობას. ისინი ჯერჯერობით კარგ იმედებს იძლევიან.

სპარტაკიადას ვხსნით ჩოგბურთელები. 7 აგვისტოს პირველი თამაშები გვაქვს ამიტომ დარჩენილ დღეებში ჩავატარებთ გენერალურ თამაშებს, რაც ჩვენი ჩოგბურთელების ბრძოლისუნარიანობის შემოწმება იქნება.

... ებას თავისი დადებითი ...რეებიც გააჩნია, მაგრამ უცილობელია მისი ნაკლოვანებანიც, მით უმეტეს იმ პერიოდში, როცა მოსწავლეთა სპარტაკიადა კარზეა მომდგარი: საკავშირო ასპარეზობაზე ბავშვები დაიქანცნენ, ამა- ... იქ კიდევ ერთხელ ...ს თავისი მზადყოფნა.

აგვისტოს დამდეგს მოვაწყობთ შე... სარჩევ ვარჯიშებს და საბოლოო... დავაკომპლექტებთ გუნდს. რომელი... წარსდგება სპარტაკიადაზე.

## შეასრულეს სათანრიგო ნორმები

ამას წინათ რიგაში დამთავრდა ლატვიის და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი. თვითეულ გუნდში 6 მოჭადრაკე იყო.

შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა. საქართველოს მოჭადრაკეებმა კარგი თეორიული და სპორტული მომზადება გამოავლინეს და გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 22:14.

აღსანიშნავია ნ. პანინისა და გ. სიმონიანის წარმატება, რომლებმაც შეასრულეს პირველი საკავშირო თანრიგის ნორმატივი. გ. კოკა...ვილმა შეასრულა მეორე თანრიგ... ხოლო გუნდის დანარჩენმა წე...რებმა გ. ვეფხვაძემ, ვ. კურიხინმა და ნ. მირონოვმა დაიმტკიცეს მეორე თანრიგი.

მომავალ წელს თბილისში მატჩ...რევანშის სათამაშოდ ჩამ... ლატვიელი მოჭადრაკეები.

ა. ქერეჟაშვილ...
უსინათლოთა კულტურის სახ...ლის დირექტორი.



გაზეთი გამოდის ...ელის კპ ცენტრალ... მე- ... (1260)